პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



ღირსეულად ბოლომდე გაძლების ჯილდო

ახალგაზრდობაში მე ბრძენი ოლქის პრეზიდენტის მრჩევლად ვმსახურობდი. იგი სულ ცდილობდა ჩემს განსწავლას. მახსოვს მისი ერთხელ მოცემული რჩევა: „როცა ვინმეს შეხვდები ისე მოექეცი, თითქოს დიდ გასაჭირში იყოს და მეტწილად მართალიც იქნები“. მაშინ ვიფიქრე, რომ იგი პესიმისტურ განწყობაზე იყო. ახლა, როცა 50 წელიწადზე მეტი გავიდა, მესმის, რაოდენ კარგად იცოდა მან ცხოვრება და სამყარო.

ჩვენ ყველანი გასაჭირის წინაშე ვდგებით, ზოგჯერ ძალიან სერიოზულ გასაჭირში აღმოვჩნდებით ხოლმე. ჩვენ ვიცით, რომ უფალი ნებას გვრთავს, გამოვიდეთ ამ გასაჭირიდან, რათა გავიწმინდოთ და გავხდეთ სრულყოფილნი, რათა მარადის ვიყოთ მასთან.

უფალი ასწავლიდა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს ლიბერთის ციხეში, რომ მისი ბოლომდე გაძლების გამოცდის ჯილდო მას მარადიული ცხოვრების ღირსს გახდიდა.

„შვილო ჩემო, მშვიდობა იყოს შენს სულში, რადგან შენი უბედურება და ტანჯვა იქნება ხანმოკლე;

„და შემდეგ, თუ გაუძლებ ბოლომდე, ღმერთი აგამაღლებს ზეცაში“ (მოძღვრება და აღთქმები 121:7–8).

ცხოვრებაში იმდენი რამ გვატყდება თავს, რომ შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ბოლომდე ღირსეულად გაძლება ძნელია. ასე შეიძლება მოეჩვენოს ოჯახს, რომელიც დამოკიდებულია მოსავალზე, წვიმა კი არ მოდის. ამ დროს შეიძლება იფიქრონ: „როდემდე შეგვიძლია ატანა“? ასე შეიძლება მოეჩვენოს ახალგაზრდებს, რომლებმაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ სიბინძურისა და ცდუნების წამლეკავ ტალღებს. ასე შეიძლება მოეჩვენოს ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ცდილობს,მიიღოს განათლება ან გაიაროს სამსახურში მისაღები ტრენინგი, რათა ცოლ-შვილი არჩინოს. ასე შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, რომელიც ვერ პოულობს სამსახურს ან რამდენჯერმე დაკარგა სამსახური ფირმის დახურვის გამო. ასე შეიძლება მოეჩვენოს მათ, ვისაც ჯანმრთელობა ან ფიზიკური ძალა შეერყათ, რაც ადრე თუ გვიან შეიძლება შეემთხვათ მათ ან მათ საყვარელ ადამიანებს.

მაგრამ მოსიყვარულე ღმერთმა არ გამოგვცადა უბრალოდ იმისთვის, რომ დაინახოს, გავუძლებთ მათ თუ არა, არამედ იმისთვის, რომ დარწმუნდეს, რომ ჩვენ ბოლომდე გავუძლებთ მათ და დავიხვეწებით.

პირველი პრეზიდენტობა ასე ასწავლიდა უხუცეს პარლი პ. პრატს (1807-57), როცა იგი თორმეტ მოციქულთა ქვორუმის ახალი წევრი იყო: „შენ ჩაერთე საქმეში, რომელიც შენს სრულ ყურადღებას ითხოვს; . . . იქეცი გაპრიალებულ ლახვრად. . . . უნდა აიტანო ბევრი შრომა, ჭაპანი და მრავალი რამ

მოითმინო, რათა სრულყოფილად დაიხვეწო .. . . თქვენი მამაზეციერი მოითხოვს ამას; ყანა მას ეკუთვნის; ეს მისი სამუშაოა; და იგი . . . გაგამხნევებთ . . . და ზევით ამოგატივტივებთ“.[1]

ებრაელთა გზავნილში პავლე მოციქული საუბრობს ღირსეულად გაძლების ნაყოფზე: „ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად. მაგრამ შემდგომ სიმართლის მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც მის მიერ განისწავლა“ (ებრაელთა 12:11).

ჩვენი სირთულეები და განსაცდელი გვაძლევს სწავლისა და ზრდის შესაძლებლობას და ზოგჯერ თვით ჩვენი ბუნების შეცვლის საშუალებასაც კი. თუ განსაკუთრებულ მომენტში ჩვენ შევძლებთ, მივუბრუნდეთ უფალს, ჩვენი სული დაიხვეწება ჩვენი ბოლომდე გაძლების პროცესში.

ასე რომ, პირველი, რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ სულ უნდა ვილოცოთ (იხ. მოძღვრება და აღთქმები 10:5; ალმა 34:19-29).

მეორე: ყოველთვის ვეცადოთ, დავიცვათ მცნებები - მიუხედავად წინააღმდეგობების, ცდუნების ან ჩვენს ირგვლივ გაუგებრობისა (იხ. მოსია 4:30).

მესამე აუცილებელი რამ არის უფლის მსახურება (იხ. მოძღვრება და აღთქმები 4:2; 20:31).

უფლის მსახურებისას ჩვენ მას უკეთ გავიცნობთ და შევიყვარებთ. ჩვენ, თუ დაჟინებით ვილოცებთ და ვემსახურებით უფალს, ამოვიცნობთ მის ხელსა და სულიწმინდის გავლენას ჩვენს ცხოვრებაში. მრავალ ჩვენგანს მიეცა გარკვეული დროით მსგავსი მსახურების საშუალება და იგრძნო ეს თანხლება. თუ უკან გაიხედებით და გაიხსენებთ იმ დროს, გაგახსენდებათ, რომ თქვენში ცვლილებები მოხდა. თითქოს და შემცირდა ავის კეთების ცდუნება. გაიზარდა სიკეთის კეთების სურვილი. ისინი, ვინც ყველაზე კარგად გიცნობდნენ და უყვარდით, ალბათ იტყოდნენ: „შენ უფრო კეთილი და მომთმენი გახდი“. შენ ის ადამინი აღარ ხარ“.

შენ ის ადამინაი არ იყავი“. შენ შეიცვალე იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით, რადგან დაეყრდენი მას განსაცდელის ჟამს.

მე გპირდებით, რომ უფალი მოვა თქვენს დასახმარებლად, თუ ეძიებთ და ემსახურებით მას და რომ თქვენი სული დაიხვეწება ამ პროცესში. მე გიწვევთ, ყოველი უბედურების ჟამს ენდოთ მას.

მე ვიცი, რომ მამა ღმერთი ცოცხალია და რომ მას ესმის ჩვენი ლოცვები და პასუხობს მათ. მე ვიცი, რომ მისმა ძემ, იესო ქრისტემ, დაფარა ჩვენი ყოველი ცოდვის საფასური და სურს, დავუბრუნდეთ მას. მე ვიცი, რომ მამა ღმერთი და მისი ძე გვპატრონობენ და გაგვიმზადეს გზა, რათა ღირსეულად გავუძლოთ ბოლომდე და კვლავ დავბრუნდეთ შინ.

შენიშვნა

1. *პარლი პ. პრატის ავტობიოგრაფია,* ed. Parley P. Pratt Jr. (1979), 120.

ამ გზავნილის სწავლება

ჩვენ ყველას გვაქვს სირთულეები, რომლებიც ამოწმებს ჩვენს რწმენას და ბოლომდე გაძლების საშუალებას. განიხილეთ მათი საჭიროებები და სირთულეები, ვისაც ასწავლით. სანამ ესტუმრებით მათ, შეგიძლიათ ილოცოთ მითითებებისთვის, რათა გაიგოთ, უკეთ როგორ დაეხმაროთ მათ. შეგიძლიათ განიხილოთ როგორც პრინციპები, ისე ამონარიდები წმინდა წერილიდან, რომლებსაც ახსენებს პრეზიდენტი აირინგი, ლოცვის, მსახურებისა და მცნებების დაცვის ჩათვლით. შეგიძლიათ ასევე გაუზიაროთ პირადი გამოცდილება იმაზედ, როგორ მიიღეთ დალოცვა, რაც დაგეხმარათ ბოლომდე ღირსეულად გაძლებაში.

ახალგაზრდები

როცა მეგობარი გარდამეცვალა.

სამანტა ლინტონის მიერ.

უმაღლეს სასწავლებელში რომ ვსწალობდი, ჩემს მეგობარს ანევრიზმა გაუჩნდა და მეორე დღეს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წევრი ვიყავი, მაინც მიჭირდა ამის ატანა. მთელი ცხოვრება მასწავლიდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შემეძლო მიმემართა მამაზეციერისთვის და მხსნელისთვის, მაგრამ არასდროს მსგავსი რამ არ გამომიცდია.

საათობით ვტიროდი, ვცდილობდი მეპოვა რამე, ნებისმიერი რამ, რაც დამამშვიდებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე დღეს მე ჰიმნების წიგნებს მივმართე. გადაფურცლისას გავჩერდი „დარჩი ჩემთან;“ ’საღამო ჟამს“*ჰიმნები,* no. 165).“ Abide with Me; ’Tis Eventide,” მესამე კუპლეტი განსაკუთრებით მომეწონა

დარჩი ჩემთან საღამო ჟამს,
და ღამე იქნება ეული
თუ შენთან ვერ შევძლებ ლაპარაკს,
ვერც ჩემში ვიპოვი ნათლს.
მეშინია სამყაროს სიბნელისა,
რაც ჩემს სახლში შეიძლება ყოფილიყო.
მხსნელო, დარჩი ჩემთან ამაღამ;
აჰა, საღამო ჟამია.

ამ კუპლეტმა ისეთი სიმშვიდით ამავსო. მე ვიცოდი, რომ მხსნელი არა მხოლოდ დარჩებოდა ჩემთან ღამე, არამედ ზუსტად იცოდა, რას ვგრძნობდი. მე ვიცი, რომ სიყვარულმა, რომელიც ვიგრძენი ჰიმნის მეშვეობით, არა მხოლოდ ის ღამე გადამატანინა, არამედ მრავალი სხვა გასაჭირიც.

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

შეგიძლიათ გადმოტვირთოთ "Abide with Me; 'Tis Eventide," lds.org/go/7176.ჰიმნები, no. 7176.

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, July 2017.* Georgian. 97927 131

რათა იყვნენ ერთნი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

"იესომ მიაღწია სრულყოფილ ერთობას მამასთან, რადგან დაემორჩილა მის ნებას სულიერად და ხორციელად", — გვასწავლიდა უხუცესი დ. თოდ კრისტოფერსონი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

". . . რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიქნებით ერთნი ღმერთთან და ქრისტესთან, სანამ მათი ნება და ინტერესები ჩვენს ყველაზე დიდ სურვილად არ იქცევა. ასეთი მორჩილება ერთ დღეში როდი მიიღწევა, მაგრამ სულიწმინდის მეშვეობით უფალი გვასწავლის, თუკი ამის სურვილი გვაქვს, მანამ, სანამ დროის განმავლობაში ვერ ვიტყვით, რომ იგი ჩვენშია, როგორც მამაა მასში".

ლინდა კ. ბერტონი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, გვასწავლიდა, როგორ მივაღწიოთ ამ ერთობას: „ჩვენი აღთქმების დადება და მათი დაცვა გამოხატავს ჩვენ მიერ დადებულ პირობას - დავემსგავსოთ მხსნელს. იდეალურ შემთხვევაში უნდა ვესწრაფოდეთ ისეთ განწყობას, რომელიც საუკეთესოდ გამოიხატება საყვარელი ჰიმნის რამდენიმე ფრაზაში: „მე წავალ იქ, სადაც *შენ* მიხმობ. . . . ვიტყვი იმას, რაც *შენ* გსურს, რომ ვთქვა. . . . ვიქნები ის, რაც *შენ* გსურს, რომ ვიყო.'"[2]

უხუცესმა კრისტოფერსონმა ასევე შეგვახსენა, რომ "როცა ჩვენ ყოველ დღე და ყოველ კვირა მივყვებით ქრისტეს გზას, ჩვენი სული ამტკიცებს საკუთარ განსაკუთრებულობას, შინაგანი ბრძოლა ცხრება და ცდუნებები აღარ გვაღელვებს".[3]

ნილ ფ. მარიოტი, ახალგაზრდა ქალების გენერალური პრეზიდენტობიდან, მოწმობს დალოცვების შესახებ, რომლებიც ჩვენს ნებას ღვთის ნებას დაუმორჩილებენ: "მე ვცდილობდი განმედევნა მიწიერი სურვილი, ყველაფერი ყოფილიყო ისე, როგორც *მე* მინდოდა, და ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი გზა იყო შეზღუდული, ნაკლოვანი და აბრკოლებდა იესო ქრისტეს გზას. '[ჩვენი მამაზეციერის] გზა არის ის გეზი, რომელსაც მივყავართ ბედნიერებისკენ ამ ცხოვრებაში და მარადიულ ცხოვრებაში, რომელიც გველის'".[4] მოდით, თავმდაბლად ვეცადოთ, გავხდეთ მამაზეციერთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან, ერთნი.

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

4:13იოანე 17:20-21; ეფესელთა 4:13; მოძღვრება და აღთქმები 38:27; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. დ. თოდ კრისტოფერსონი "That They May Be One in Us", *ლიახონა,* ნოემბერი 2002, 73.
2. ლინდა კ. ბერტონი"The Power, Joy, and Love of Covenant Keeping," *Liahona,* Nov. 2013, 111.
3. დ. თოდ კრისტოფერსონი "That They May Be One in Us", ლიახონა, ნოემბერი 2002, 71.
4. Neill F. Marriott, "Yielding Our Hearts to God," *Liahona,* Nov. 2015, 32.

განიხილეთ შემდეგი

თუ ღმერთის ნებას შევასრულებთ, როგორ დაგვეხმარება ეს მის დამსგავსების პროცესში?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, July, 2017.* Georgian. 97927 131